სს **„**კავკასრეესტრის**“** აქციათა **57.86%**
(8448 აქციის**)** მესაკუთრე აქციონერს
სს „საქართველოს საფონდო ბირჟას“
(ს/ნ2011382145)

სს „კავკასრეესტრის“ აქციათა
5,47% (800 აქციის) მესაკუთრე აქციონერის
სს გალტ & თაგარტს (ს/ნ 211359206)

მინორიტარ აქციონერებს:

სს საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი (ს/ნ 205116943), სს საინვესტიციო კომპანია იმედი (ს/ნ 204862880), შპს დავი+ (ს/ნ 211385972), შპს ეი-ბი-ჯგუფი (ს/ნ 202063532), შპს ემ-ეს-ემ (ს/ნ 211333476), შპს კვანტი (ს/ნ 211359625), შპს დელფო (ს/ნ 211387667), შპს საბროკერო კომპანია ისთ-ვესთ-ინვესტი (ს/ნ 204929881), შპს საბროკერო კომპანია სოლომონ სალმანი (ს/ნ 204929872), შპს საბროკერო კომპანია ფიბა (ს/ნ 211387925), შპს საბროკერო კომპანია ქართუ ბროკერი (ს/ნ 204929970), შპს საბროკერო კომპანია ჯო და ში (ს/ნ 204929658), მერაბ ვარდიაშვილი, მერაბ მემარნიშვილი,ზურაბი ქერეჭაშვილი

სს **„**კავკასრეესტრის**“ (**ს/ნ **211369115)**
დირექტორი მერაბ ვარდიაშვილი

პოზიცია 2025 წლის 19 მარტის კრებასთან დაკავშირებით

პატივცემულო აქციონერებო,

როგორც მოგეხსენებათ 2025 წლის 19 მარტს 12:00 საათზე ჩანიშნულია სს “კავკასრეეტრის” აქციონერთა კრება.

უპირველეს ყოვლისა გვსურს აღვნიშნოთ, რომ თქვენგან კანონით დადგენილი წესითა დადგენილ ვადაში არ მიგვიღია 2025 წლის 19 მარტის აქციონერთა კრების შესახებ მოსაზრება ან/და პოზიცა კრების დღის წესრიგთან დაკავშირებით “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონონის 191-ე მულის პირველი ნაწილის შესაბამისად, რაც გულისხმობს იმას, რომ საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 14 დღით ადრე აქციონერმა წერილობით უნდა მიმართოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს, თუკი მას სურს დღის წესრგზე საკითხების დამატება ან და პოზიციის დაფიქსირება. განცხადება წერილობითი ფორმით, რეგულარული ფოსტის მეშვეობით ჩაგვბარდა მხოლოდ დღეს, 14 მარტს, ანუ აქციონერთა კრებამდე 5 დღით ადრე.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც 2023 წელს მაჟორიტარმა აქციონერებმა ჩააგდეს ახალი მეწარმეთა შესახებ კანონით შესაბამისად მოთხოვნილი სს "კავკასრეეტრის" ხელახალი რეგისტრაციისათვის მომზადებული წესდების დამტკიცება, კომპანია დადგა ლიკვიდაციის საშიშროების წინაშე. შესაბამისად, ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენდა მოლაპარაკების წარმოება, რომელიც იმდენად გაჭიანურდა, რომ იძულებული გავხდით საზოგადოების აქციონერთა კრების ჩატარებაც კი გადაგვეწია. მოლაპარაკებებზე, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს საფონდო ბირჟისა და კავკასრეესტრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, მხარეები თავიდანვე შეთანხმდნენ, რომ მიეღოთ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ორივე კომპანიისთვის (როგორც სს "კავკასრეეტრის", ასევე სს "საქართველოს საფონდო ბირჟის") რისკების აცილებას. კონსტრუქციული მოლაპარაკებების საფუძველზე მიღწეულ იქნა შეთანხმება საქართველოს საფონდო ბირჟის წესდებისა და სადამფუძნებლო შეთანხმების საბოლოო რედაქციის შესახებ. კავკასრეესტრისთვის საფუძვლად იქნა შეთავაზებული მიდგომა, რომლის თანახმადაც არსებულ წესდებასა და სტატუს-კვოში არაფერი უნდა შეიცვალოს, გარდა ახალი მეწარმეთა შესახებ კანონიდან გამომდინარე აუცილებელი ცვლილებებისა, და არ დამდგარიყო ისეთი მოთხოვნები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიდნენ კომპანიის ხელახალ რეგისტრაციას. მხარეები დაეთანხნენ, რომ შეთანხმების მიღწევა არის ერთადერთი გზა, რომ უფრო მეტად არ დამძიმდეს სიტუაცია და არ მოგვიწიოს კიდევ ახალ სასამართლო პროცესებში ჩართვა.

მოლაპარაკების პროცესში გათვალისწინებულ იქნა მაჟორიტარი აქციონერების რამოდენიმე მოთხოვნა (მაგალითად, აქციონერთა კრების ელექტრონული გზით ჩატარების შესაძლებლობა), რომლებიც შეტანილ იქნა წესდების პროექტში. ასევე, მაჟორიტარი აქციონერების პრეტენზიაზე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების შესახებ იფორმაციის არქონის შესახებ, შეთავაზებულ იქნა მათი წარმომადგენლის შეყვანა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში.

ზემოაღნიშნული მოლაპარაკებები მიმდინარე წლის 24 თებერვალს დასრულდა წესდების შეჯერებით (მათ შორის 75%-იანი ბარიერის თემაზე) და დათქმით, რომლის თანახმადაც მაჟორიტარი აქციონერების მიერ ერთი კვირის ვადაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ნოტარიულად გასაფორმებელი შეთანხმების პროექტი და მხარეებს ეთანამშრომლათ კომპანიისთვის ზიანის მომტანი გაუთავებელი სასამართლო პროცესების დასასრულებლად. ზემოაღნიშნულს ადასტურებს მაჟორიტარ აქციონერთა იურისტის წერილიც.

სამწუხაროდ, მაჟორიტარი აქციონერების მიერ შეთანხმება დარღვეული იქნა. ჯერ ერთი, მაჟორიტარი აქციონერების მიერ მოთხოვნილი ცვლილებები ნიშნავს წესდების შინაარსობრივ ცვლილებას. მეორეც, მაჟორიტარი აქციონერების მიერ მოთხოვნილი დღის წესრიგის ცვლილება და მასში სამეთვალყურეო საბჭოსთან დაკავშირებით საკითხების დამატება ნიშნავს არსებული სტატუს-კვოს დარღვევას და ეს ყველაფერი

კეთდება მხოლოდ კომპანიაზე მმართველობისა და კონტროლის მისაღწევად, რას, როგორც პრაქტიკამ გვაჩვენა მიმართულია კავკასრეესტრისთვის ზიანის მისაყენებლად მისი კონკურენტის ინტერესებში.

სამწუხაროდ, ყველასათვის კარგად არის ცნობილი თუ რა დამანგრეველი შედეგებით დასრულდა კომპანიისათვის მაჟორიტარი აქციონერების მმართველობა და კონტროლი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც კომპანიაში სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე დაბრუნდა კანონიერი მენეჯმენტი, მასთან ერთად დაბრუნდა კომპანიის მოგებაც და კაპიტალის ზრდაც. შესაბამისად აქციონერთათვის ცხადი უნდა იყოს რომელია კომპანიისთვის უკეთესი მენეჯმენტი და ვის კონტროლსა და მმართველობას უნდა მიანიჭონ უპირატესობა. მაჟორიტარ აქციონერთა დამოკიდებულებაში კი აშკარად იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათივე დომინანტ აქციონერს ეკუთვნის კავკასრეესტრის კონკურენტი კომპანია, რომლის პირდაპირ ინტერესშიც შედის კავკასრეესტრის განადგურება. ინფორმაციისათვის, მაჟორიტარი აქციონერების მიერ დღის წესრიგში ცვლილებების მოთხოვნის ერთერთ ხელისმომწერს წარმოადგენს სწორედ კავკასრეესტრის ზემოხსენებული კონკურენტის მმართველი ორგანოს წევრი.

როგორც მოგეხსენებათ, 2023 წლის 30 ნოემბრის კრების ოქმის საფუძველზე, სადაც განსახილველი საკითხი სხვა საკითხებთან ერთად, მაჟორიტარი აქციონერების ინიციატივით იყო სამეთვალყურე საბჭოს წევრების გამოწვევა და ახალი წევრების არჩევა, კრებაზე გადაწყვეტლება ვერ იქნა მიღებული რადგან, მას მხარი არ დაუჭერია აქციონეთა 75%-ზე მეტმა, როგორც ეს განსაზღრულია კომპანიის მოქმედი წესდებით.

სამწუხაროდ სწორედ ამიტომ, მენეჯმეტის მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხდა კომპანიის სარგისტრაციო მონაცემების ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, რადგან ამ კრებაზე მაჟორიტარმა აქციონერმა ჩააგდო წესდების და სარეგისტრაციო მონაცემების საკითხი და მხარი არ დაუჭერია მას, სურდა რა რომ წესდების გვერდის ავლით უკანონოდ მოეხდინა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გამოწვევა და მისთვის სასურველი, ინტერესთა კონფლიქტის მქონე წევრების დანიშნვნა.

აღნიშნული კრების ოქმი გასაჩივრებულ იქნა მაჟორიტარ აქციონერთა მიერ სასამართლოში 2024 წლის 8 იანვარს. აღნიშნულ საქმეზე სს "კავკასრეესტრის" მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ იქნა შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე, რაც სასამართლოს 2024 წლის 20 მაისის განჩინებით საქმეზე #N2/87-24 დაკმაყოფილდა. განჩინების თანახამად:

"შეჩერდა საქმის წარმოება სამოქალაქო საქმეზე N2/87-24, სს „საქართველოს საფონდო ბირჟი"-ს, სს „გალტ ენდ თაგარტი"-ს და შპს "საბროკერო კომპანია ქართუ ბროკერი"-ს სარჩელისა გამო სს „კავკასრეესტრი"-ს მიმართ, კრების ოქმის ნაწილობრივ ბათილად ცნობის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გამოწვევის მოთხოვნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში არსებულ

სამოქალაქო საქმეზე N2/22575-19 (სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ და სს „გალტ ენდ თაგარტი“-ს სარჩელისა გამო მოპასუხე სს „კავკასრეესტრი“-ს მიმართ, აქციონერთა კრების ოქმის ნაწილობრივ ბათილად ცნობის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნით) დავის დასრულების შემდეგ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე;

ამასთან თქვენთვის (აქციონერებისათვის) ცნობილია, რომ საქმეზე N2/22575-19 სხდომა ზემოაღნიშნული განჩინების მიღების შემდეგ არ გამართულა და შესაბამისად რაიმე სახის საბოლოო გადაწყვეტილება ამ საქმეზე მიღებული არ არის.

შესაბამისად ფაქტობრივი მოცემულობა 2025 წლის 19 მარტის კრების ჩატარების დროისათვის უდავოდ იქნება უცვლელი, რაც აზრს უკარგავს აღნიშნული კრების დღის წესრიგში იმავე საკითხების შეტანას, რაზეც უკვე იმსჯელა კრებამ და რასთან დაკავშირებითაც დავა სასამართლოში ინიცირებულ იქნა მაჟორიტარი აქციონერების მიერ და აღნიშნული საქმის განხილვა შეჩერებულია სასამართლოს მიერ (საქმეზე N2/87-24).

ყოველივე ზემოაღნიშნული, გამორიცხავს დავის დასრულებამდე იმავე საკითხების განხილვის შესაძლებლობას კრებაზე. სამწუხაროდ, ზემოხსენებულთან დაკავშირებით სს “კავკასრეესტრის” აქციონერებისგან არ შემოსულა რაიმე წერილობითი დასაბუთება. ამდენად კომპანიის მმართველ ორგანს მიზანშეწონილად არ მიაჩნია იმ სადავო საკთხების დღის წესრიგში განმეორებით შეტანა რასთან დაკავშირებითაც დავა მიმდინარეობს სასამართლოში. დღეს კომპანიის ინტერესებაშია, რომ მოხდეს სარეგისტრაციო მონაცემების მოყვანა კანონთან შესაბამისობაში და აქციონერთა შორის არსებულმა გარკვეულმა უთანხმოებამ არ დააზარალოს კომპანიის ინტერესები.

ზემოაღნიშნულიდან და კომპანიის საუკთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით რომ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამსიად 2025 წლის 1 აპრილამდე უნდა მოხდეს კომპანიის სარეგისტრაციო მონაცმების ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დადგება უარყოფითი შედეგები კომპანიისათვის, კერძოდ კი, როგორც საბოლოო შედეგი, მოხდება მისი რეგისტრაციის გაუქმება, რითიც მოგებული დარჩება მხოლოდ კონკურენტი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, რომელსაც და სს “კავკასრეესტრის” დომინანტ აქციონერებს ერთი და იგივე მესაკუთრე ჰყავთ. (აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალურად იხ. მეწარმეთა შესახებ კანონის 254-ე მუხლი) იმედს ვიტოვებ, რომ აქციონერები მხარს დაუჭერენ სარეგისტრაციო მონაცემების კანონთან შესაბამისობაში მოყვანას.

დარწუნებული ვარ რომ აქციონერებს კარგად მოეხსენებათ საკითხის სერიოზულობა. ამდენად აქციონერთა კრების დღის წესრიგი ორიენტირებულია მხოლოდ იმაზე, რომ კომპანიის სარეგისტრაციო მონაცემები მოვიდეს შესაბამისობაში მოქმედ

კანონმდებლობასთან. ამასთან შემოთავაზებული წესდების პროექტი 100%-ით ინარჩუნებს იმ სტატუს-კვოს რაც აქციონერთა შორის არსებობდა ახალი კანონის ამოქმედებამდე და რაც არსებობს დღეს არსებული/მოქმედი წესდების შესაბამისად. ამდენად, კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე იმედს ვიტოვებთ რომ პარტნიორები ხელოვნურად არ შეუქმნიან პრობლემას სს "კავკასრეესტრს" და არ დააყენებენ მას არსებობის რისკის წინაშე, რამაც უდავოა რომ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზიანი კომპანიისათვის.

ასეთი ზიანის დადგომის შემთხვევაში, რაც გამოწვეული იქნება იმის გამო რომ ვერ მოხდა კომპანიის სარეგისტრაციო მონაცემების ახალ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, დაეკისრება იმ აქციონერს ან/და აქციონერთა ჯგუფს, რომლებიც ხელს შეუშლიან აქციონერთა კრებაზე რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტების მიღებას/დამტკიცებას.

იმედს ვიტოვებთ რომ აქციონერები აღნიშნულ საკითხს მიუდგებიან სათანადო კეთილსინდისიერებითა და გულისხმიერებით და საფრთხის წინაშე არ დააყენებენ კომპანიის არსებობას.

პატივისცემით,
მერაბ ვარდიაშვილი
14.03.2025